

საიდ. №79908/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №04-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა გ. ს. სააპელაციო საჩივარი (საიდ. №04-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1680/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „მარგი“ (საიდ. №78237/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე და 30-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 დეკემბრის №1680/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "მარგი" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია შპს „პარადისის“ (მისამართი: ს. ჩიქოვანის ქ. 20/36) სახელზე 29-ე და 30-ე კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის „საქპატენტში“

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „MARGI“ (რეგ. N 16721, რეგისტრაციის თარიღი: 12/07/2006). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჟღერადობრივად აღრევამდე მსგავსია. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „მარგი“ შესრულებულია ქართული ანბანით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MARGI“ - ლათინურით. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია სხვადასხვა ანბანით, ქართველი მომხმარებლის მიერ ეს ორი ნიშანი გამოითქმის იდენტურად - „მარგი“. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანში გამოსახულებითი ელემენტების არსებობა არ სძენთ ნიშნებს განმასხვავებლობას. შესაბამისად, სახეზეა სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. იმისათვის, რომ არსებობდეს სასაქონლო ნიშნების საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი, ნიშნებს შორის მსგავსების გარდა სახეზე უნდა გვქონდეს განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების კლასების საქონლის ჩამონათვალს შორის მსგავსებაც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ისევე, როგორც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარდგენილია 29-ე და 30-ე კლასის საქონლის ჩამონთვალისთვის. 29-ე კლასის ჩამონათვალი, განცხადებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში მოიცავს „ქაბაბს და კატლეტს“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ჩამონათვალი კი მთლიანად 29-ე კლასს - „29 - ხორცი, თევზი, ძეხვი და ძეხვეულები, სოსისი, პელმენი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ხილი და ბოსტნეული; ჟელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; ზეთები და საკვები ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი.“ ვინაიდან, საქონლის კლასის ეს ორი ჩამონათვალი კვეთს ერთმანეთს, კერძოდ კი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ჩამონათვალი - „ხორცი“ მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს - „კატლეტი და ქაბაბი“, შესაბამისად, 29-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი მსგავსია., მსგავსია ასევე, 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალიც.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი „30 - ყავა, ჩაი, კავაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლეულის პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული, კეტჩუპი, ტომატ „პასტა“ მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვასლს: „ფქვილი; პურ-ფუნთუშეული; მიუსლი, რომელიც დამზადებულია მარცვლეულის ქატოსა და გამომშრალი ხილის ან/და ბოსტნეულის საფუძველზე.“ აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი, გ. ს. არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ იგი: „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. აღნიშნული მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ რეგისტრაციაზე უარის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც დაკმაყოფილებულია ორი პირობა, კერძოდ, თუ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსია და ამავე დროს აღრევამდე მსგავსია ის საქონელიც რომელთა მარკირებაც ხდება ამ სასაქონლო

ნიშნებით. თუ ეს ორივე პირობა არაა დაკმაყოფილებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის საფუძველი არ არსებობს.

აპელანტის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში განსახილველია, თუ რამდენადაა აღრევამდე მსგავსი საქონელი, რომლის მიმართაც იყო მოთხოვნილი განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია და საქონელი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი "MARGI". აპელანტის პოზიციით, უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დაპირისპირებული ნიშანი 29-ე და 30-ე კლასებში რეგისტრირებულია არა კლასების ზოგადი ჩამონათვლის მიმართ, არამედ საქონლის კონკრეტული ჩამონათვლის მიმართ. შესაბამისად, საქონლის მსგავსების შეფასება უნდა მოხდეს საქონლის მხოლოდ იმ კონკრეტული ჩამონათვალის მიხედვით, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია დაპირისპირებული ნიშანი 29-ე და 30-ე კლასებში. აპელანტის მითითებით, 29-ე კლასში დაპირისპირებული ნიშანი რეგისტრირებულია შემდეგი საქონლის მიმართ: „ხორცი, თევზი, ძეხვი და ძეხვეულები, სოსისი, პელმენი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებულიხილი და ბოსტნეული; ჟელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; ზეთები და საკვები ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი“, ხოლო სადავო ნიშნის რეგისტრაცია ამავე კლასში მოთხოვნილია კატლეტისა და ქაბაბის მიმართ.

აპელანტის განმარტებით, გაუგებარია რას ეფუძნება ექსპერტის დასკვნა, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ ხორცი მოიცავს კატლეტს და ქაბაბს. რეალურად ხორცი კი არ მოიცავს კატლეტს და ქაბაბს, არამედ ისინი ხორცის საფუძველზე მზადდება და მხოლოდ ეს ასპექტი შეუძლებელია იყოს მომხმარებელში საქონლის აღრევის საფუძველი. ექსპერტისეული ლოგიკით ხორცი მოიცავს პელმენსაც და სოსისსაც, რადგან ისინიც ხორცის საფუძველზე მზადდება და მაშინ ლოგიკურად ჩნდება კითხვა რატომაა ეს პროდუქტები ცალკე გამოყოფილი იმ ჩამონათვალში, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია დაპირისპირებული ნიშანი.

აპელანტის მითითებით, რაც შეეხება 30-ე კლასს, უპირველესად ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტზე, რომ ექსპერტიზის დასკვნაში არასწორადაა წარმოდგენილი ის ჩამონათვალი, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი. კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნაში, აღნიშნულ ჩამონათვალში მითითებულია ფქვილი და მარცვლეულის პროდუქტი, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი; საფუარი, საცხობი ფხვნილები, რეალურად, კი ამ ჩამონათვალის მიმართ დაპირისპირებული ნიშანი რეგისტრირებული არაა, რასაც ადასტურებს ამონაწერი სასაქონლო ნიშნების ბაზიდან დაპირისპირებული ნიშნის შესახებ. აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარი ხდება რა მსგავსება დაინახა ექსპერტმა ფქვილს, პურ-ფუნთუშეულს და მიუსლის, რომელთა მიმართაც მოთხოვნილია სადავო ნიშნის რეგისტრაცია, და იმ საქონელს შორის (ყავა, ჩაი, კაკაო, ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული, კეტჩუპი, ტომატ პასტა), რომელთა მიმართაც რეალურადაა რეგისტრირებული დაპირისპირებული ნიშანი.

აპელანტის პოზიციით, საქონლის მსგავსებაზე მსჯელობისას ასევე, გასათვალისწინებელია მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში მითითებული მიდგომა, რომ საქონლის ერთგვაროვნების დასადგენად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა საქონლის სახე, ხასიათი, სამომხმარებლო თვისებები და ფუნქციური დანიშნულება (მოცულობა და გამოყენების მიზანი), მასალის სახე, საქონლის ურთიერთშეცვლადობის შესაძლებლობა, მათი რეალიზაციის პირობები (მათ შორის კომერციული არხები, გაყიდვის ადგილი.), მომხმარებელთა წრე და სხვა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა საქონლის ერთგვაროვნების დასადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დამხმარე ნიშნებიც, თუმცა იგივე მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქონლის ერთგვაროვნება განისაზღვრება ზემოხსენებული ასპექტებიდან ერთის ან მეტის მიხედვით,

მაგრამ როგორც წესი, ყველა მათგანი უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. არანაირი მსჯელობა ან არგუმენტაცია, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ზემოხსენებულ მეთოდოლოგიაზე ექსპერტიზის დასკვნაში მოყვანილი არ არის ან შეგნებულადაა იგნორირებული, რადგან ექსპერტს საქონლის ერთგვაროვნების დამტკიცება ზემოაღნიშნულის მიხედვით ძალზედ გაუძნელდებოდა. ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი არათუ აღრევამდე, არამედ საერთოდ მსგავსი არ არის, შესაბამისად, რეგისტრაციაზე უარის თქმის ერთი პირობა დაკმაყოფილებული არაა.

აპელანტის განმარტებით, რაც შეეხება პირველ პირობას, ანუ თავად დაპირისპირებული ნიშნების მსგავსებას, უნდა აღინიშნოს, რომ სადაო არაა დაპირისპირებული ნიშნების ფონეტიკური მსგავსება, თუმცა მხოლოდ ეს ასპექტი არ არის საკმარისი დაპირისპირებული ნიშნების აღრევამდე მსგავსების დასადასტურებლად. სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის საყოველთაოდ გამოყენებული მეთოდოლოგიიდან, რომლითაც ასევე უნდა ხელმძღვანელობდეს საქართველოს საპატენტო უწყების ექსპერტიზა ცნობილია, რომ კომბინირებული სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველ შთაბეჭდილებას და მხოლოდ ამის მერე ექცევა ყურადღება ნიშანში შემავალ ცალკეულ დეტალებს. სადავო და დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას, პირველი შთაბეჭდილებით შეუძლებელია რაიმე მსგავსება დადგენა აღნიშნულ ნიშნებს შორის. დაპირისპირებულ ნიშანში სიტყვა შესრულებულია ლათინური შრიფტით, ხოლო სადავო ნიშანში ქართულად, ასევე სადავო ნიშანი შეიცავს მარვალ გამოსახულებით ელემენტს, რაც ასევე სრულიად განასხვავებს მას დაპირისპირებული ნიშნისგან. ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ასევე არაა აღრევამდე მსგავსი, შესაბამისად, რეგისტრაციაზე უარის თქმის მეორე პირობაც არაა დაკმაყოფილებული. აპელანტის მითითებით, მის სახელზე 02.12.2003წ. რეგისტრირებული იყო კომბინირებული სასაქონლო ნიშანი სიტყვიერი ნაწილით

„მარგი“ (რეგისტრაციის №14961, შეტანის თარიღი 8.11.2001) 30-ე კლასის საქონლის, კერძოდ ფქვილისა და პურ-ფუნთუშეულის მიმართ, თუმცა აღნიშნული რეგისტრაცია არ გამხდარა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი 30-ე კლასის საქონლის (ყავა, ჩაი, კაკაო, ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; მარილი, მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული, კეტჩუპი, ტომატ პასტა) მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მისი სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღი (15.04.2005) იყო ბევრად უფრო გვიანდელი, ვიდრე აპელანტის სახელზე რეგისტრირებული ზემოაღნიშნული სასაქონლო ნიშნის შეტანის (იგივე პრიორიტეტის) თარიღი. აპელანტმა აღნიშნული ფაქტი მიიჩნია სამართლიანად, რადგან უპირველეს ყოვლისა საქონლის ჩამონათვალი იყო სრულიად განსხვავებული. აღნიშნული ლოგიკით წარადგინა მან სადავო ნიშანი სარეგისტრაციოდ, რადგან მიაჩნდა, რომ საქპატენტი არ გადაუხვევდა მის მიერვე დამკვიდრებულ ლოგიკას. რეალურად კი მოხდა ის, რომ საქპატენტის არათანმიმდევრულობის გამო აპელანტი ზარალდება და ვერ არეგისტრირებს ნიშანს, რომელსაც აქტიურად და წარმატებით იყენებს საქართველოს ბაზარზე ძალიან დიდი ხნის (დაახლოებით 1997 წლიდან) განმავლობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 დეკემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1680/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „მარგი“ (საიდ. №78237/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია რომ, ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი, წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს და სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად შეიცავს ასევე, გამოსახულებას, აღნიშნული ვერ სძენს ნიშანს საკმარის განმასხვავებლობას, რადგან ნიშანში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „მარგი“, რომელიც აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა „MARGI“. ამასთან, აღნიშნული ნიშნებიქართულად იდენტურად გამოითქმის - „მარგი“.

ამასთან, კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას, დაპირისპირებული ნიშნების მსგავსებასთან ერთად, წარმოადგენს მისი საქონლის მსგავსებაც. შესაბამისად, კოლეგიამ იმსჯელა, საქონლის მსგავსებაზე და მიიჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნით მონიშნულ 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის: „ფქვილი; პურ-ფუნთუშეული; მიუსლი, რომელიც დამზადებულია მარცვლეულის ქატოსა და გამომშრალი ხილის ან/და ბოსტნეულის საფუძველზე“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით მონიშნულ, 30-ე კლასის საქონელის ჩამონათვალს შორის მსგავსება, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 30-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა (მანიოკა), საგო, ყავის შემცვლელები; ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; მარილი,

მდოგვი; ძმარი, საკაზმები; სანელებლები; საკვები ყინული, კეტჩუპი, ტომატ პასტა”.

რაც შეეხება 29-ე კლასის საქონლის ჩამონათვალს, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული საქონლის ჩამონათვალი: „ქაბაბი, კატლეტი“ აღრევამდე მსგავსია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის 29-ე კლასში საქონლის ჩამონათვალისა: „ხორცი, თევზი, ძეხვი და ძეხვეულები, სოსისი, პელმენი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამხმარი და თბურად დამუშავებული ხილი და ბოსტნეული; ჟელე, მურაბა, კომპოტი; კვერცხი, რძე და რძის პროდუქტები; ზეთები და საკვები ცხიმები, მარგარინი, მაიონეზი.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გ. ს. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 25 დეკემბრის №1680/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით

რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანს „მარგი” (საიდ. №78237/03) უარი ეთქვა რეგისტრაციაზე 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. სასაქონლო ნიშანი „მარგი” (საიდ. №78237/03) დარეგისტრირდეს 30-ე კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ი. გიქორაშვილი

მ. ჭიჭინაძე